

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია აღმოფხვრიდ იქნას ის საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც დღეს არსებობს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში. კერძოდ, კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება მინისტრის უფლებამოსილებას წარმოადგენს „გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“, მაშინ როდესაც ამავე კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობიდან გათავისუფლებას მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ, ემატება სიტყვები „თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“, რითაც ხდება აღნიშნული ნორმის კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან შესაბამისებაში მოყვანა, რომელიც მინისტრის მიერ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნასა და თანამდებობიდან გათავისუფლების უფლებამოსილებას უკავშირებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოდების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

*დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.*

*დ.გ) კანონპროექტის ავტორი
კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.*

*დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.*